საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

დეკემბერი-მარტი 2022

არჩევნები 2021

ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო საერთო კრება განახლებული სისტემით ჩატარდა

11 დეკემბერს, ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო საერთო კრება ჩატარდა. არჩევნები წელს პირველად, სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე წინასწარი ონლაინ რეგისტრაციით, ხოლო, უშუალოდ არჩევნების დღეს - ოპტიკური სკანერების გამოყენებით მიმდინარეობდა.
კენჭისყრაში სულ 1339 ადვოკატი მონაწილეობდა.



ასოციაციის არჩევნების პროცესს ამერიკულ-კანადური კომპანია „დელიან ფროჯექთი“ უწევდა ადმინისტრირებას. საარჩევნო პროცესს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშრისო საზოგადოება“-ს (ISFED) წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო საერთო კრება განახლებული და თანამედროვე ტექნოლოგიების ფორმატით ევროპის საბჭოსა (CoE) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USIAD/PROLoG) მხარდაჭერით ჩატარდა.

დავით ასათიანმა დემოკრატიის სამიტზე საქართველოს მართლმასჯულების სისტემაზე ისაუბრა

10 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა დემოკრატიის სამიტზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ინიციატივით გაიმართა სამიტის მონაწილეებს მიმართა და საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებსა და ამ პროცესში დამოუკიდებელი ადვოკატურის როლზე ისაუბრა.



მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

„უწყვეტი სამართალწარმოების პრინციპის დამკვიდრება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“ - ამ თემაზე 14 დეკემბერს მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენჩ ბარის) მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო ქადაგიძე, გენერალური პროკურორის მოადგილე, ნათია მერებაშვილი და მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრის მონაწილეებმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში უწყვეტი სასამართლო განხილვის პრინციპის დამკვიდრების მიმართულებით არსებულ ხედვებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს.

აღმასრულებელი საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირველი სხდომა

23 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირველი სხდომა გაიმართა.

აღმასრულებელი საბჭოს ახლადარჩეულ წევრებს ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა სამომავლო გეგმები და ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტები გააცნო. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ახალი შემადგენლობა 11 დეკემბერს საარჩევნო საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია. საბჭოს ახლადარჩეული წევრები ასოციაციის საქმიანობას მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებენ.

ეთიკის ახლადარჩეული კომისიის პირველი სხდომა

16 დეკემბერს ეთიკის კომისიის ახლადარჩეულმა შემადგენლობამ პირველი სხდომა ჩაატარა.
კომისიის წევრებმა ფარული კენჭისყრით თავმჯდომარე აირჩიეს.
ეთიკის კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, კომისიის თავმჯდომარედ კონსტანტინე გელაშვილი იქნა არჩეული.

ახლადარჩეული სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა

16 დეკემბერს სარევიზიო კომისიის ახლადარჩეულმა შემადგენლობამ პირველი სხდომა ჩაატარა.

სარევიზიო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, კომისიის თავმჯდომარედ თეიმურაზ მესხი იქნა არჩეული.

ეთიკის კომისიის წევრებმა პირველი სამუშაო შეხვედრა გამართეს

ეთიკის კომისიის წევრებმა პირველი სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე დისციპლინური წარმოების პროცესუალური საკითხები, სტანდარტები და ეთიკის კომისიის პრაქტიკა განიხილეს.

ასევე, სამუშაო შეხვედრაზე ეთიკის კომისიის წევრები გაეცნენ დისციპლინური საქმისწარმოების ახალ ელექტრონულ პროგრამას, რომელიც ევროსაბჭოს პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა.

საქართველოს პრეზიდენტსა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს შორის შეხვედრა გაიმართა

საქართველოს პრეზიდენტსა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს შორის შეხვედრა გაიმართა. პრეზიდენტის სასახლეში დავით ასათიანმა და სალომე ზურაბიშვილმა ეროვნული თანხმობის პროცესში სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების მნიშვნელობასა და იურიდიული პროფესიის როლზე ისაუბრეს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია LAWASIA - ს წევრი გახდა

იურიდიულ პროფესიათა გაერთიანების, LAWASIA -ს მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღნიშნული ორგანიზაციის ნამდვილი წევრი გახდა.

LAWASIA მაღალი რეპუტაციის მქონე რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც აზიის მასშტაბით 40-ზე მეტ ადვოკატთა ასოციაციას, მოსამართლეებსა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებს აერთიანებს და პროფესიის გაძლიერებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

LAWASIA
THE LAW ASSOCIATION FOR ASIA AND THE PACIFIC

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის LAWASIA-ში გაწევრიანების შედეგად ქართველ ადვოკატებს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ. ორგანიზაციებს შორის უკვე დაგეგმილია რამდენიმე ერთობლივი ღონისძიება.

ადვოკატთა სახლის მშენებლობის ღია კარის დღე

ადვოკატთა სახლის მშენებარე შენობაში ღია კარის დღე გაიმართა. ასოციაციის წევრებმა ახალი ოფისის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს.
ადვოკატთა სახლის ახალი შენობა, რომლის სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება, საქალაქო სასამართლოს უკან მდებარეობს.

LL.M პროგრამაზე სააპლიკაციო პროცესი გამოცხადდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯმა, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებისთვის 2022 წლის პრეფერენციული ჩარიცხვის პროცესი დაიწყო მაგისტრატურის (Master of Laws (LL.M.) - პროგრამაზე, რაც გამარტივებულ სააპლიკაციო პროცესსა და სპეციალურ სტიპენდიებს მოიცავს. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ასოციაციის ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე..

სირაქიუზის უნივერსიტეტის უფასო სალექციო ციკლი

ადვოკატთა ასოციაციისა და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 4 ლექცია ჩატარდა. ლექციებს სირაქიუზის უნივერსიტეტის პროფესორები ატარებენ.

სალექციო კურსი ქართველი ადვოკატებისა და ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებისთვის 20 აპრილს დასრულდება.

ევროსაბჭოს ახალი პროექტის პრეზენტაცია

„იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მარგინალიზებული მოსახლეობისთვის“- შერატონ მეტეხი პალასში ევროსაბჭოს ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიების გახსნით ნაწილში მონაწილეებს სიტყვით მიმართა დავით ასათიანმა და ევროპის საბჭოსა და ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობის ხანგრძლივ და ეფექტიან ისტორიასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა ღონისძიებაზე ასოციაციის მიერ განხორციელებულ რეფორმებსა და მიმდინარე პრიორიტეტებზე ისაუბრა.

ბიზნეს საქმიანობა ჰონგ კონგსა და საქართველოში: მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები

საქართველოსა და ჰონგ კონგის ადვოკატთა ასოციაციების ერთობლივი ონლაინ კონფერენცია ჩატარდა. ვებინარის ფარგლებში მომხსენებლებმა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს, როგორებიცაა: ბიზნეს რეგისტრაცია, ორმაგი დაბეგვრა, სამუშაო ვიზა და ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ონლაინ კონფერენციაში მონაწილეობა ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს წინასწარი რეგისტრაციით შეეძლოთ.

ვებინარები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ონლაინ დისკუსიების სერიის ფარგლებში ვებინარები ჩაატარა თემებზე:

- უახლესი ცვლილებები "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში.
- გამოხატვის თავისუფლება „Facebook-სა“ და „YouTube-ზე“.

ონლაინ დისკუსიების სერია იურიდიული პროფესიისა და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებს ეხება და მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.



დავით ასათიანი საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (IBA) პოლიტიკის კომიტეტის (POLICY COMMITTEE) წევრად აირჩიეს



Bar Issues Commission Policy Committee

The BIC Policy Committee is made up of representatives from Bar Associations and Law Societies around the world providing global representation for Member Organisations. The role of the Policy Committee is to address issues of concern to Bar Associations around the world by creating and recommending policies for adoption by IBA Council and by ensuring that proposed IBA policies affecting Member Organisations be reviewed by the Policy Committee to ensure that such policies have the support of Member Organisations before being recommended for approval by IBA Council.

Projects

- Guidelines for Bar Associations on professional indemnity insurance
- Guidelines on unregulated legal services

Claudia Amore
Co-opted Member

Firm Address

Camara de Servicios Legales - ANDI
Calle 73 8-13
Tower A - 7th Floor
Bogota
Colombia
00000

David Asatiani
Co-opted Member

Firm Address

Georgian Bar Association
Dzmebi Zubalashvilebi Street N11
Tbilisi
Georgia
0108

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანი საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (IBA) პოლიტიკის კომიტეტის (Policy Committee) წევრად აირჩიეს.

IBA ადვოკატების, ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1947 წელს დაარსდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნიდან მალევე.

IBA-ის მიზანია, წვლილი შეიტანოს გლობალური სტაბილურობისა და მშვიდობის დამკვიდრებაში მართლმსაჯულების განხორციელების გზით. IBA აერთიანებს 190-ზე მეტ ადვოკატთა ასოციაციასა და 80 ათასზე მეტ ადვოკატს მსოფლიოს მასშტაბით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იურიდიული პროფესიის ხმა აქტიურად იქნება წარმოდგენილი ასეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებაში.

პრო-ბონო იურიდიული მომსახურება უკრაინელი მეგობრებისათვის

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უკრაინის არაერთი მოქალაქე იმყოფება, რომელთაც შესაძლოა საიმიგრაციო თუ სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით იურიდიული მხარდაჭერის საჭიროება შეექმნათ, ადვოკატთა ასოციაციაში ამოქმედდება ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც ჩვენი უკრაინელი მეგობრები შეძლებენ პრო-ბონო იურიდიული მომსახურების მიღებას ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტის ჩართულობით. ცხელი ხაზი: 599-11-60-15; ელ-ფოსტა: probono@gba.ge

ადვოკატთა ასოციაციაში 26 კომიტეტი დაკომპლექტდა

ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტები ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა. ახლადშექმნილი 13 რეგიონული და 13 თბილისში მოქმედი კომიტეტი ასოციაციის სამუშაო პროცესში უკვე ჩაერთო. კომიტეტების წევრების შერჩევა წინასწარ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე მოხდა, რომელში მონაწილეობა მოქმედი სტატუსის მქონე ნებისმიერ ადვოკატს შეეძლო.

კონკურსში 500 ზე მეტი აპლიკანტი მონაწილეობდა, მათ შორის 347 მონაწილე აღმასრულებელმა საბჭომ შესაბამის სფეროში კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე დაამტკიცა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
მემორანდუმს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და კომუნიკაციების ობუდსმენმა, გვანცა ჩხეიძემ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას გულისხმობს, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხებზე.

კონფერენცია ქალთა შრომით უფლებებზე

ქალთა შრომითი უფლებები, საკანონმდებლო რეგულაციები, გამოწვევები პრაქტიკაში და აღსრულების ეროვნული მექანიზმები - ამ თემებზე ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტმა ამერიკის სოლიდარობის ცენტრის მხარდაჭერით კონფერენცია გამართა.

შეხვედრაზე ქალთა უფლებებთან დაკავშრებული ისეთი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა:

- ქალისა და კაცის ხელფასებს შორის სხვაობა;
- ქალთა შრომითი უფლებები და მისი ეფექტიანი დანერგვის კუთხით არსებული გამოწვევები;
- გენდერული დისკრიმინაციისა და ქალთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით შრომის კანონმდებლობის აღსრულება.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა ქალთა შრომითი უფლებების გასაუმჯობესებლად შემუშავებული სამოქმედო გეგმა წარმოადგინეს.

სახელმძღვანელო - „მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები“

სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსდა.

საერთო და სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო - „მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესების“ ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდა,

სახელმძღვანელო ადვოკატთა ასოციაციამ ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და ამავე ორგანიზაციის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ავტორობით შეიმუშავა, მასში თავმოყრილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატთა ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენს თავს და მნიშვნელოვან სამართლებრივ ტიპიურ ფორმებსა და დოკუმენტებს აერთიანებს.

ადვოკატებისთვის ახალი სახელმძღვანელო გამოიცა

"საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რჩეული რეკომენდაციები ადვოკატებისთვის" - ახალი სახელმძღვანელო გამოიცა.
ელექტრონული წიგნი ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

კრებულში ეთიკის კომისიის მნიშვნელოვანი განმარტებები და ის კონკრეტული რჩევებია მოცემული, რომლებიც ადვოკატების შეკითხვების საფუძველზე მომზადდა. კრებულში ასახული რეკომენდაციები ადვოკატებს ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში წამოჭრილი სხვადასხვა ეთიკური დილემის გადაწყვეტაში დაეხმარებათ.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მორიგი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გამოსცა

რეკომენდაციები განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე

მორიგი რეკომენდაციის თემა: **როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი ეთიკური სტანდარტის დაცვით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი პროტესტის ნიშნად სასამართლო დარბაზს ტოვებს და ამავეს მოუწოდებს ადვოკატს?.**

რეკომენდაციები ადვოკატების ჩართულობით, მათი შეკითხვების საფუძველზე მზადდება.

ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი სესია ჩაატარა

ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი სესია ჩაატარა. საგამოცდო სესიები 17 დეკემბერს დაიწყო და 24 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. საკვალიფიკაციო გამოცდები კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.

გამოცდებში 791 პირი მონაწილეობდა საერთო (251), სისხლის სამართლისა (243) და სამოქალაქო სამართლის (297) მიმართულებებით. მათ შორის გამოცდა წარმატებით ჩააბარა 231-მა მონაწილემ.

ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო ნაკრების განახლება დაიწყო!

ადვოკატთა ასოციაციის ნაკრების შემდგომი გაძლიერებისა და სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირში კიდევ უფრო წარმატებული მონაწილეობისთვის, საფეხბურთო ნაკრების განახლება მიმდინარეობს.

ასოციაციის ნაკრებში მოხვედრის მსურველი ადვოკატები და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეები ფიზიკურ მომზადებას გაივლიან, საბოლოოდ კი მათ ასოციაციის ნაკრების მწვრთნელი ვარჯიშებზე დაკვირვების საფუძველზე შეარჩევს. განახლებულ შერჩევას ექვემდებარებიან როგორც ნაკრების მოქმედი წევრები, ასევე, ახალი მსურველები.

ასოციაციის საფეხბურთო ნაკრების მოქმედი შემადგენლობა გასული წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა. იმავე წელს, აქტიური ვარჯიშისა და შრომის შედეგად, ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა მასტერ ლიგა 3-ში და მასტერ ლიგა 2-ში გადავიდა.